

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

академия наук грузинской ССР

ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა

центральная научная библиотека

ბიბლიოგრაფიული სერია „ქართველი მეცნიერები“

Библиографическая серия «Грузинские ученые»

Н и к о л а й  
В е к у а

Биобиблиография

Издательство «мецниереба»

Т б и л и с и

1988

ნიკოლოზ

ვეკუა

ბიობიბლიოგრაფია

გამომცემლობა <მეცნიერება>

თბილისი

1988

012 (ვეკუა ნ.პ.) + 016:51

ვ 309

ქართველი საბჭოთა მათემატიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნიკოლოზ პეტრეს ძე ვეკუას ბიბლიოგრაფია მოიცავს 1940-1986 წწ. მასალას. ნაშრომში შედის სამეცნიერო კვლევითი, სამეცნიერო-პოპულარული და მისი რედაქციით გამოშვებული შრომები, აგრეთვე ლიტერატურა ნ. ვეკუას შესახებ.

მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურ-ანბანური რიგით. ბიბლიოგრაფის წინ უძღვის ნ. ვეკუას სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა. ერთვის ძირითადი შრომების ანბანური და სახელთა საძიებლები.

Библиография грузинского советского математика академика АН ГССР Н. П. Векуа содержит материал охватывающий 1940-1986 годы. В библиографии представлены научно-исследовательские, научно-популярные труды и труды, опубликованные под редакцией ученого, а также литература о Н. П. Векуа.

Материал расположен в хронологическо-алфавитном порядке. библиографии предпослан краткий обзор научной и общественной деятельности, основные даты жизни и деятельности Н. П. Векуа. Прилагается алфавитный указатель основных и именной указатель.

ბიბლიოგრაფიული სერიის მთავარი სარედაქციო კოლეგია: გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე (მთ. რედაქტორი), ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ლ. გ ა ბ უ ნ ი ა, ვ. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, თ. ო ნ ი ა ნ ი, ა. ც ა გ ა რ ე ლ ი, გ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მ. დ ა რ ა ს ე ლ ი ა, ჯ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, ს. ხ ა დ უ რ ი, ნ. გ უ რ გ ე ნ ი ძ ე (მდივანი).

შემდგენლები: ი. დ უ დ უ რ ა ვ ა, ც. კ ვ ა ჭ ა ძ ე

რედაქტორი ს. ხ ა დ უ რ ი

ბიბლიოგრაფიული რედაქცია ნ. დ ო ლ ი ძ ი ს ა

Главная редакционная коллегия библиографической серии: Г. Н. Д ж и б л а д з е (гл. редактор), А. М. А п а к и д з е, Л. К. Г а б у н и я, В. И. Г о м е л а у р и, Т. Н. О н и а н и, А. Л. Ц а г а р е л и, Г. В. Ц и ц и ш в и л и, Ш. В. Д з и д з и г у რ ი, М. К. Д а რ ა ს ე ლ ი ა, Дж. Г. Л о м и ნ ა ძ ე, С. А. ხ ა დ უ რ ი, Н. А. გ უ რ გ ე ნ ი ძ ე (секретарь)

Составители: И. М. Д у д у ч а в а, Ц. А. К в а ч ა ძ ე

Редактор: С. А. ხ ა დ უ რ ი

Библиографическая редакция: Н. Г. Д о л и д з е

440600000

3 ----- რეზ. - 88

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988

M 607 (06)-88

ISBN 5 – 520 – 00565 - 6

## ნიკოლოზ ვეკუა

(სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)

ნიკოლოზ ვეკუა დაიბადა 1913 წლის 10 აგვისტოს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში. მამა - პეტრე ბეკუს ძე ვეკუა ახუთელი მკვიდრი გლეხი კაცი იყო. დედა - დესპინე გოჩას ასული კაცია კი წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯიდან.

პეტრე ვეკუას ექვსი შვილი ჰყავდა, ხუთი ქალიშვილი და ერთი ვაჟიშვილი - ყველაზე უმცროსი ნიკო.

7 წლის ნიკოლოზ ვეკუა 1920 წელს შეიყვანეს სოფელ ახუთის არასრულ სკოლაში, რომელიც შემდეგ გლეხი ახალგაზრდობის სკოლად გადაკეთდა, სწავლების ვადა ერთი წლით გაიზარდა და ნიკოლოზმა იგი 1928 წელს დაამთავრა. 1928 წელსვე შევიდა და 1931 წელს დაამთავრა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. შემდეგ მშობლიურ სკოლას დაუბრუნდა და წელიწადნახევარი მუშაობდა იქ მასწავლებლად. ასწავლიდა ბიოლოგიას, ფიზიკასა და მათემატიკას.

1932 წელს ნიკოლოზ ვეკუა შევიდა თბილისის უნივერსიტეტში, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე მათემატიკის სპეციალობით, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1937 წელს. ნიკოლოზ ვეკუას სტუდენტობის წლები დაემთხვა საქართველოში მათემატიკის განვითარების სწრაფ პერიოდს. ამ პერიოდში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი იყო ნიკო მუსხელიშვილი. ამავე პერიოდში დაბრუნდა რუსეთიდან სამეცნიერო მუშაობის მიზნით მივლინებული ქართველ სპეციალისტთა პირველი ჯგუფი (ილია ვეკუა, ვიქტორ კუპრამე, დავით დოლიძე, ამბროსი რუხაძე და სხვები), რამაც დიდად შეუწყო ხელი იმდროინდელ სტუდენტთა მათემატიკით დაინტერესებას. ნიკოლოზ ვეკუა დიდი ინტერესით ისმენდა ნიკო მუსხელიშვილის ლექციების კურსს დრეკადობის თეორიაში, რომელსაც გამოჩენილი მეცნიერი მექანიკის განყოფილების სტუდენტებს უკითხავდა. ნიკოლოზ ვეკუამ გეგმის ზევით ჩააბარა ეს კურსი და ნიკო მუსხელიშვილის ყურადღებაც მიიქცია. ასე დამყარდა პირველი კონტაქტი ნიკოლოზ ვეკუასა და ნიკო მუსხელიშვილს შორის, ნიჭიერ მოსწავლესა და მის სახელოვან ხელმძღვანელს შორის.

სტუდენტთა იმდროინდელმა ნაკადმა, უნივერსიტეტის რეორგანიზაციის გამო, სწავლა დაიწყო 1933 წლის იანვრიდან და სასწავლო გეგმით სწავლა დაამთავრა 1937 წლის ივნისში, ხოლო სახელმწიფო გამოცდები იმავე წლის ოქტომბერში ჩატარდა. ნიკოლოზ ვეკუა, თავისივე თხოვნით (მძიმე ოჯახური პრობლემების გამო), გაანაწილეს ჩხოროწყუს რაიონში მათემატიკის მასწავლებლად. ამგვარი მოთხოვნა იმ მძიმე ოჯახურმა პირობებმა გამოიწვია, რომელშიც ნიკოლოზ ვეკუა აღმოჩნდა იმ მომენტისათვის. უნივერსიტეტში

სწავლის პერიოდში (1935 წ. 6 ნოემბერს) ნ. ვეკუა დაოჯახდა. ცოლად შეირთო ქეთევან გრიგოლის ასული ჩიქოვანი.

ჩხოროწყუს რაიონის ხელმძღვანელობამ ნიკოლოზ ვეკუა დანიშნა ახუთის საშუალო სკოლის დირექტორად. ამ თანამდებობაზე მუშაობას იგი 1937 წლის 1 სექტემბრიდან შეუდგა, ქალბატონი ქეთევანი კი ამავე სკოლაში ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლად დაინიშნა.

1937 წელს ნიკოლოზ ვეკუა თბილისში ჩამოვიდა სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად. სახელმწიფო გამოცდების კომისიას ნიკო მუსხელიშვილი თავმჯდომარეობდა. „კარგად მახსოვს - იგონებს ნიკოლოზ ვეკუა - სახელმწიფო გამოცდა. დამავალეს დამემტკიცებინა თეორემა ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლების პარამეტრზე (კოშის მოცემულობებზე) დამოკიდებულების შესახებ და რიმან-შვარცის თეორემა (პრინციპი) ანალიზური გაგარძელები შესახებ. გამოცდა საათზე მეტ ხანს გაგრძელდა და შემდეგ გამომიცხადეს, რომ გამოცდა ფრიადზე ჩავაბარე და რომ მე ჩაბარებული მაქვს ასპირანტურაში მისაღები გამოცდა“.

მართალია ნიკოლოზ ვეკუას ასპირანტურაში ჩარიცხვა მარტივად გადაწყდა, მაგრამ ორი პრობლემა გადასაწყვეტი დარჩა: საჭირო იყო მისი ახუთის სკოლის დირექტორობიდან განთავისუფლება და თბილისში საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა. ორივე პრობლემის გადაწყვეტა ნიკო მუსხელიშვილმა იკისრა. მან შემდეგი შინაარსის წერილით მიმართა ჩხოროწყუს რაიონის განათლების განყოფილების გამგეს: „ნ. ვეკუამ ჩააბარა საასპირანტო გამოცდები სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მათემატიკურ ინსტიტუტში. ფილიალის პრეზიდიუმი შუამდგომლობს, რომ ამხ. ვეკუა გათავისუფლებულ იქნეს ახუთის საშუალო სკოლის დირექტორის მოვალეობისაგან. ამხ. ვეკუაზე დიდ იმედებს ვამყარებთ, როგორც მომავალ მეცნიერზე“.

ნიკოლოზ ვეკუა სკოლის დირექტორობიდან გაათავისუფლეს 1938 წლის თებერვალში. მას, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტს, დაენიშნა უმაღლესი სახელობითი სტიპენდია, ხოლო სადისერტაციო თემად დაენიშნა „ინტეგრალური განტოლებები და მათი გამოყენება მათემატიკურ ფიზიკაში“.

აღნიშნული სტიპენდიის დანიშვნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნიკო ვეკუასთვის, იგი მთელი გატაცებით დაეწაფა მათემატიკის შესწავლას. პირველი შრომები, როგორც სადისერტაციო თემით იყო განსაზღვრული, მათემატიკური ფიზიკისა და ისეთი ინტეგრალური განტოლებების საკითხებს მიეძღვნა, რომლებიც შეიცავენ ადამარის აზრით განსაზღვრულ სინგულარულ ინტეგრალებს.

ამ დროს თბილისის მათემატიკის ინსტიტუტში მუშაობას იწყებს ნიკო მუსხელიშვილის სახელგანთქმული სემინარი, რომელიც სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებს ეძღვნება. ამ სემინარის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მონაწილეა ნ. ვეკუა. იგი სწორედ ამ თემატიკაში წერს საკანდიდატო დისერტაციას.

1941 წლის 2 ივნისს ნ. ვეკუა ჩაირიცხა უმცროს მეცნიერ თანამშრომლად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტში, ხოლო 1941 წლის 24 დეკემბერს დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ზოგიერთი სინგულარული ინტეგრალური განტოლებისა და პოტენციალთა თეორიის სასაზღვრო ამოცანების შესახებ“. ოფიციალურ ოპონენტებად გამოვიდნენ: ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი, პროფ. ი.ვეკუა და ფიზ.-მათ. მეცნ. კანდიდატი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ლ. მალნაძე.

მალე ნ. ვეკუა დაამტკიცეს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

1944 წლის 22 აპრილს ნიკოლოზ ვეკუას მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო წოდება.

1946 წლის 6 ივნისს ნ. ვეკუამ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოში წარადგინა ნაშრომი „ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანები, სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემები და მათი ზოგიერთი გამოყენება“ ფიზიკა-მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

დაცვა შედგა 1946 წლის 3 ივლისს. ოფიციალური ოპონენტები იყვნენ: აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. ვეკუა, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი დ. დოლიძე.

1948 წლის 24 იანვარს ნიკოლოზ ვეკუა დაამტკიცეს პროფესორად „თეორიული მექანიკის“ კათედრაზე.

1955 წლის 10 ოქტომბერს ნ. ვეკუა აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილებაში (მათემატიკა), ხოლო 1960 წ. აკადემიის ნამდვილი წევრია. ნიკოლოზ ვეკუას მონოგრაფია „სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემები და ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანა“ გამოიცა მოსკოვში რუსულ ენაზე 1950 წელს, ხოლო მისი მეორე, მნიშვნელოვნად შევსებული და გადამუშავებული,



გამოცემა კვლავ მოსკოვში განხორციელდა. წიგნი გამოსცა რუსულ ენაზე გამომცემლობა „ნაუკამ“ 1970 წელს. იგი სამაგიდო წიგნია არა მარტო ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანებისა და სინგულარული ინტეგრალური განტოლებების სპეციალისტებისთვის, არამედ მექანიკის და მათემატიკური ფიზიკის სპეციალისტებისთვისაც.

ნიკოლოზ ვეკუას 1975 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

მოყვანილ ცნობებს უნდა დაემატოს რამდენიმე ბიოგრაფიული მონაცემი. 1948-1951 წლებში ნ. ვეკუა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკა ფაკულტეტის პირველი დეკანია. მანამდე მექანიკისა და მათემატიკის სპეციალობები ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტში შედიოდა. 1957 წლიდან ნ. ვეკუა ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა.რაზმაძის სახელობის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ფიზიკის განყოფილებას, ხოლო 1976 წლიდან ამ ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია. 1977 წლის 7 აპრილს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ იგი დირექტორად დაამტკიცა.

1963 წლიდან ნ. ვეკუა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიული მექანიკის კათედრის გამგეა; მანამდე, 1938 წლიდან, იგი ამ კათედრის ჯერ ასისტენტი, შემდეგ დოცენტი და პროფესორი.

ნიკოლოზ ვეკუა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1939 წლიდან. იგი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. მიღებული აქვს: „საპატიო ნიშნის“ ორდენი (1966), „ხალხთა მეგობრობის ორდენი“ (1983), საქართველოს სსრ პრეზიდიუმის საპატიო სიგელები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის საპატიო მედლები.

ნიკოლოზ ვეკუას სამეცნიერო ნაშრომები ეძღვნება ანალიზურ ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანებს, სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებს, მცირეპარამეტრიან დიფერენციალურ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებებს და მათ გამოყენებებს პოტენციალთა თეორიასა და მათემატიკურ ფიზიკაში.

ნაშრომებში, რომლებიც ანალიზურ ფუნქციათა თეორიას ეძღვნება, ნ. ვეკუამ შეისწავლა ჰილბერტის ამოცანა რამდენიმე უცნობი ფუნქციისთვის.

დავით ჰილბერტმა, რიმანის იდეების განვითარების საფუძველზე, დასვა კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის რამდენიმე სასაზღვრო ამოცანა.

ჰილბერტის ამოცანა ანუ წყვილად შეუღლების სასაზღვრო ამოცანა დაერქვა შემდეგში კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის ამოცანას, როცა მოითხოვება ფუნქციის პოვნა მთელ კომპლექსურ სიბრტყეზე, რომელიც ჰოლომორფულია ყველგან, გარდა ამ სიბრტყის რომელიმე წირის წერტილებისა, რომლებზედაც ამ ფუნქციას უნდა ჰქონდეს სასაზღვრო მნიშვნელობები ორივე მხრიდან, დაკავშირებული ერთმანეთთან წრფივი კომბინაციით. გარდა ამისა, საძიებელი ფუნქციით რიგი უსასრულობაში უნდა იყოს სასრული. ფუნქციას, რომელიც ჰოლომორფულია მთელ კომპლექსურ სიბრტყეზე, გარდა ამ სიბრტყის რომელიმე წირის წერტილებისა, აქვს სასრული რიგი უსასრულობაში და სასაზღვრო მნიშვნელობები წირზე ორივე მხრიდან - უბან-უბან ჰოლომორფული ფუნქცია ეწოდება. მაშასადამე, ჰილბერტის ამოცანაში მოითხოვება ისეთი უბან-უბან ჰოლომორფული ფუნქციის პოვნა, რომლის სასაზღვრო მნიშვნელობები წირზე შებმული არიან ერთმანეთთან მოცემული წრფივი კომბინაციით, თუ ეს წრფივი კომბინაცია ერთგვაროვანია, ე. ი. არ შეიცავს თავისუფალ წევრს, მაშინ ამოცანას ჰილბერტის ანუ წრფივად შეუღლების ერთგვაროვანი ამოცანა ეწოდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი არაერთგვაროვანი. სრულიად ანალოგიურად ისმის ჰილბერტის ამოცანა რამდენიმე უცნობი ფუნქციისთვის. აქ საძიებელია ისეთი უბან-უბან ჰოლომორფული ვექტორი (ვექტორი, რომლის კომპონენტები უბან-უბან ჰოლომორფული ფუნქციებია), რომლის კომპონენტების სასაზღვრო მნიშვნელობები წირზე შებმულია ერთმანეთთან მოცემული წრფივი კომბინაციებით. მოცემულ სასაზღვრო პირობათა რაოდენობა იმდენივეა, რამდენიც საძიებელი ვექტორის კომპონენტი.

აღნიშნული ამოცანები ჰილბერტმა და კარლენმა განიხილეს, მაგრამ კვლევის მეთოდების მაშინდელმა დონემ არ მისცა საშუალება ამ გამოჩენილ მეცნიერებს, მიეღოთ ამ მიმართლებით რაიმე არსებითი შედეგები. ამ ამოცანებს, გარდა თეორიული ინტერესისა, აქვთ დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა. წრფივად შეუღლების სასაზღვრო ამოცანებზე მიიყვანებიან ჰიდრო- და აეროდინამიკის, თვითმფრინავის ფრთის თეორიის, დრეკადობის თეორიის, ენერჯისა და რადიაციის გადატანის და მრავალი სხვა ამოცანა. ამ მიზეზის გამო, ჰილბერტიდან და კარლემანიდან დაწყებული, ინტერესი ამ ამოცანებისადმი თანდათან იზრდებოდა, რომელთა სრული გადაწყვეტა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მეცნიერებს ხვდათ წილად. განსაკუთრებით დიდია წვლილი ამ მიმართულებით ქართული მათემატიკური

სკოლისა, რომელსაც ნიკო მუსხელიშვილი მეთავეობდა და რომლის ბრწყინვალე წარმომადგენელიც ნიკოლოზ ვეკუაა. მან ბოლომდე შეისწავლა ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანა რამდენიმე უცნობი ფუნქციისთვის.

ჰილბერტის ამოცანა ერთი უცნობი ფუნქციისთვის ფ. გახოვმა შეისწავლა. მან იპოვნა ამ ამოცანის ეფექტური ამონახსენი, წარმოადგინა იგი კვადრატურებით. რამდენიმე უცნობი ფუნქციის შემთხვევაში ასეთი ეფექტური ფორმულა არა არსებობს. ეს გახდა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმ დიდი სიმძნელებისა, რომლებიც ნ. ვეკუას დახვდა ჰილბერტის ამოცანების შესწავლის დროს რამდენიმე უცნობი ფუნქციისთვის.

იმ შედეგებიდან, რომლებიც ნ. ვეკუამ ამ მიმართულებით მიიღო, უნდა აღინიშნოს: ზოგადი ფორმულა, რომელიც იძლევა ერთგვაროვანი ამოცანის ყველა ამონახსნს, რომელთაც აქვთ მოცემული რიგი უსასრულოებში; კერძო ინდექსების შემოღება და მათი სხვადასხვა გამოყენება; ე. წ. კანონიკურ ამონახსნთა სისტემის აგება, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს ამოცანის გამოკვლევაში და სხვა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს არაერთგვაროვანი ამოცანის გამოკვლევა. ამ ამოცანის ამონახსნს ნიკო ვეკუა აგებს კანონიკური სისტემის საშუალებით და ადგენს ამონახსნის არსებობის სრულიად ეფექტურ პირობებს სასაზღვრო პირობების თავისუფალი წევრების საშუალებით.

ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანა რამდენიმე უცნობი ფუნქციისთვის უფრო ადრე განხილული იყო პლემელის მიერ. პლემელს თავის გამოკვლევაში ამოცანა მიჰყავს ფრედჰოლმის ინტეგრალურ განტოლებაზე, რაც მეტად ართულებს შესწავლას. ამასთან ეს გამოკვლევა არაა სრული. პლემელს არ შემოჰყავს ამოცანის ინდექსი და იკვლევს მხოლოდ ერთგვაროვან ამოცანას და ისიც მეტად შეზღუდულ პირობებში.

მეტად არსებითია ნ. ვეკუას გამოკვლევები, რომლებიც მიემდვნა ჰილბერტის წყვეტილკოეფიციენტებიან ამოცანებს რამდენიმე უცნობი ფუნქციისთვის. სწორედ ამგვარ ამოცანებზე მიიყვანება მათემატიკური ფიზიკის მრავალი ამოცანა და ამდენად ეს გამოკვლევები, გარდა თეორიული მნიშვნელობისა, გამოყენებით მნიშვნელობებსაც იძენს. „იყენებს რა პლემელის ერთ-ერთ ცნობილ მეთოდს, პროფ. ნ. ვეკუა საკმაოდ ჭკუამახვილური ჩასმებით, ჰილბერტის წყვეტილკოეფიციენტებიანი სასაზღვრო ამოცანა მიჰყავს ამავე სახის ჰელდერის უწყვეტკოეფიციენტებიან ამოცანამდე და აგებს გარკვეული კლასის ამონახსნთა კანონიკურ სისტემას.

წყვეტილკოეფიციენტებიანი ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანის ამოხსნის გამოყენებით მას მოცემული აქვს წყვეტილკოეფიციენტებიანი სინგულარული ინტეგრალური განტოლებათა სისტემა. ამ თეორიამ მნიშვნელოვანი გამოყენება პოვა დრეკადობის თეორიის შერეული ტიპის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნაში“ (ნიკო მუსხელიშვილი). ამ შედეგების შესახებ (გამოცემულია ნ. ვეკუას მონოგრაფიის მეორე თავში) ნიკო მუსხელიშვილი წერდა: „მეორე თავში ავტორი (ნ. ვეკუა) ავლენს დიდ გონებამახვილობას და გამომგონებლობას კვლევის დროს წარმოქმნილი სიძნელეების გადალახვაში, წარმატება მიღწეულია მოხერხებული შერწყმით ანალიზის თანამედროვე მეთოდებისა წმინდა ალგებრულ მეთოდებთან“. ილია ვეკუა თავის რეცენზიაში ნიკოლოზ ვეკუას სადოქტორო დისერტაციაზე (1946 წ.) წერდა: „ჰილბერტის წყვეტილკოეფიციენტებიანი ამოცანის ამოხსნის დროს არსებითად ახალი მომენტის ის არის, რომ აქ აუცილებელია, გარდა ამონახსნის უსასრულეთში ყოფაქცევისა, გათვალისწინებულ იქნეს ყოფაქცევა კოეფიციენტების წყვეტილ წერტილებში. ამასთან დაკავშირებით საჭირო ხდება ამონახსნთა დაყოფა კლასებად. ნაშრომში დადგენია ზედმიწევნით მნიშვნელოვანი აუცილებელი და საკმარისი პირობა არაერთგვაროვანი ამოცანის ამოხსნის არსებობისა, რომელსაც აქვს უსასრულეთში მოცემული რიგი და არის მოცემული კლასის“.

როგორც აღვნიშნეთ ჰილბერტის ამოცანა რამდენიმე უცნობი ფუნქციისთვის ზოგად შემთხვევაში ეფექტურად არ ამოიხსნება, ამიტომ საინტერესოა ისეთი შემთხვევების პოვნა, როცა შესაძლებელია ეფექტურობის მიღწევა. ნ. ვეკუამ აჩვენა, რომ თუ სასაზღვრო პირობების კოეფიციენტები რაციონალური ფუნქციებია, მაშინ შესაძლებელია, ალგებრის ცნობილი თეორემების მოშველიებით, ამონახსნთა კანონიკური სისტემის ეფექტური ამოხსნა. ნიკოლოზ ვეკუას ამ ნაშრომმა მრავალი გამოყენება პოვა აღნიშნული მიმართულებით მიღებულ შემდგომ განვითარებებში (ფ. გახოვი და სხვ.).

ნიკოლოზ ვეკუას გამოკვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჰილბერტის ამოცანის სხვადასხვა განზოგადებებს, რომელთა შორის ერთ-ერთი არსებითია ჰილბერტის ამოცანა მოცემული გადაადგილებით. ამოცანა ამ შემთხვევაშიც ისე დაისმის, როგორც ჰილბერტის, მაგრამ წრფივ კომბინაციებში, რომლებზედაც ლაპარაკი იყო ჰილბერტის ამოცანაში, მონაწილეობს სასაზღვრო მნიშვნელობები არა ერთი და იმავე, არამედ სხვადასხვა წერტილებში. ერთ-ერთი მათგანი გადაადგილებულია მოცემული წესით. ეს ამოცანა ერთი უცნობი ფუნქციის

შემთხვევაში შესწავლილია პროფესორ დავით კვესელევას მიერ, მაგრამ აქ განვითარებული ამოხსნის მეთოდიკა არ ვრცელდება რამდენიმე საძიებელი ფუნქციის შემთხვევაზე და საჭირო შეიქნა ახალი მეთოდის მოძებნა. ნიკოლოზ ვეკუამ, პლემერის ერთი მეთოდის მოხერხებული მოდიფიკაციით, შეძლო ბოლომდე შეესწავლა ეს ამოცანა. ამ გამოკვლევებსაც მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა და მათ საფუძველზე საინტერესო გამოკვლევები შესრულდა (ფ. გახოვი, მ. გაგანიანი, ი. კრიკუნოვი, ლ. ჩებრიკოვა და სხვები).

ნიკოლოზ ვეკუამ გამოიკვლია კიდევ უფრო ზოგადი წრფივი შეუღლების სასაზღვრო ამოცანა, როცა სასაზღვრო პირობებში საძიებელი ფუნქციების სასაზღვრო მნიშვნელობების შეუღლებულიც მონაწილეობს. ეს ზოგადი ამოცანები, როგორც კერძო შემთხვევა, შეიცავენ ჰილბერტის, ზაჰემანის, მარკუშევიჩისა და სხვათა ამოცანებს.

შემდგომ განზოგადებებში ნ. ვეკუამ სასაზღვრო პირობაში საძიებელი ფუნქციების წარმოებულების სასაზღვრო მნიშვნელობებიც შეიყვანა. ასეთ სასაზღვრო ამოცანებს ნიკოლოზ ვეკუამ ანალიზურ ფუნქციათა თეორიის დიფერენციალური სასაზღვრო ამოცანები უწოდა და ისინის ინგულარულ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებებს დაუკავშირა.

ნიკოლოზ ვეკუას გამოკვლევების ერთ-ერთი თავისებურებაა სასაზღვრო ამოცანებისა და სინგულარული ინტეგრალური განტოლებების პარალელური შესწავლა და მათი ერთმანეთთან კავშირების გამოვლენა. ჰილბერტის ამოცანა რამდენიმე საძიებელი ფუნქციისთვის ბუნებრივად უკავშირდება სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემებს. ეს კავშირები არსებით როლს ასრულებენ ნიკოლოზ ვეკუას გამოკვლევებში. წყვეტილკოეფიციენტებიანი ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანის გამოკვლევის საფუძველზე იგი იკვლევს წყვეტილკოეფიციენტებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემებს. გამოკვლევის ეს მეთოდი საშუალებას აძლევს მას შეისწავლოს წყვეტილკოეფიციენტებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემები მათი მახასიათებელი ნაწილის გამოყოფის გარეშე. მიღებული შედეგი ნიკოლოზ ვეკუას გამოკვლევებამდე არ იყო ცნობილი ერთი განტოლებისთვისაც კი.

სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამგვარი განტოლებების ეკვივალენტურ რეგულარ განტოლებათა აგებას ანუ ეკვივალენტურ რეგულარიზაციას. ამ მიმართულებით საინტერესო გამოკვლევები

შეასრულა ნიკოლოზ ვეკუამ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემისათვის და მოგვცა თეორემების ახალი დამტკიცება.

განზოგადებულმა სასაზღვრო ამოცანებმა ნიკოლოზ ვეკუა ინტეგრო-დიფერენციალურ და ფუნქციონალურ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემამდე მიიყვანა და, მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, ყველგან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მათ გამოკვლევაში.

ნიკოლოზ ვეკუას ეკუთვნის გამოკვლევათა ციკლი, რომელიც მიემდინძვრება დიფერენციალურ, ინტეგრო-დიფერენციალურ და სინგულარულ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებებს მცირე პარამეტრით როგორც წრფივ, ასევე არაწრფივ შემთხვევებში. მან დაადგინა ღრმა კავშირები მცირე პარამეტრიანი ამოცანების თეორიასა და დინამიკური სისტემების ამონახსნთა ლიაპუნოვის აზრით მდგრადობას შორის. ამ მიმართულებით მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია არა მარტო თეორიული თვალსაზრისით, არამედ დიდი გამოყენებითი მნიშვნელობაც აქვთ, რადგან მათი საშუალებით ხშირად შეგვიძლია დასკვნების გამოტანა ზოგიერთი გამარტივებული მათემატიკური მოდელია ვარგისიანობა-უვარგისობაზე. ნიკოლოზ ვეკუას ძირითადი მეცნიერული შედეგები თავმოყრილია მის მონოგრაფიაში „სინგულარულ განტოლებათა სისტემები და ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანა“ და სტატიებში, რომლებიც ამ წიგნის მეორე გამოცემის შემდეგ (1970) გამოქვეყნდა. ამ მონოგრაფიის პირველი გამოცემა ითარგმნა ინგლისურ ენაზე და გამოიცა 1967 წელს.

დიდი შრომა და ენერგია მოახდომა ნიკოლოზ ვეკუამ ახალგაზრდობის აღზრდას. იგი თითქმის 50 წელია (1938) წლიდან განუწყვეტლივ კითხულობს ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. წლების განმავლობაში იგი კითხულობდა ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა თეორიას, უწყვეტ ტანთა მექანიკას, თეორიულ მექანიკას, ატარებდა სხვადასხვა სპეცკურსებსა და სპეცსემინარებს. მას ეკუთვნის ოთხი სახელმძღვანელო თეორიულ მექანიკაში, რომელთა მიხედვით მიმდინარეობს სწავლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის საფუძველზე და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

დიდა ნიკოლოზ ვეკუას წვლილი როგორც უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ორგანიზატორისა. მას ყოველთვის ეკავა და უკავია ამ დარგში მაღალი თანამდებობები, რომელთაც ყოველთვის იყენებდა სწავლა-განათლებისა და

მეცნიერების განვითარებისთვის. იყო მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის პირველი დეკანი და დიდი ღვაწლი დასდო ამ ფაკულტეტის ორგანიზაციას; იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების ბიუროს წევრი; ამ განყოფილების აკადემიკოს მდივნის მოადგილე. ამჟამად იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიული მექანიკის კათედრის გამგეა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა.რაზმაძის სახელობის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი ამ ინსტიტუტის მათემატიკური ფიზიკის განყოფილების გამგე; არის საქართველოს მათემატიკური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი; აგრეთვე 5 სამეცნიერო საბჭოს წევრი, რომელთაგან ორი ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოა. ნიკოლოზ ვეკუა ამავე დროს მათემატიკის ინსტიტუტთან არსებული სადოქტორო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა.

თ. გეგელია

თ. ბურჭულაძე

# Николай Петрович Векуа

(Краткий обзор научной и общественной деятельности)

Николай Петрович Векуа родился 10 августа 1913 года в с. Ахути Чхороцкуского района Грузинского ССР. Отец–Петр Бекуевич Векуа был коренным ахутским крестьянином, мать–Деспинэ Гочаевна Кациа была уреженкой села Обудки Цаленджихского района.

У Петра Векуа Было шестеро детей: пять дочерей и один – самый младший – сын Николай.

Семилетнего Николая Векуа в 1920 году определили в Ахутскую неполную школу, которая в дальнейшем была преобразована в школу крестьянской молодежи. Срок обучения возрос на один год и Нико окончил ее в 1928 году. В том же 1928 году он поступил в Кутаисский сельско-хозяйственный техникум и в 1931 году окончил его. Возвратившись затем в свою сельскую школу он в течение полутора лет работал в ней учителем биологии, физики и математики.

В 1932 году Николай Векуа поступил на физико-математический факультет Тбилисского университета, который успешно окончил по специальности математика в 1937 году. Студенческие годы Николая Петровича совпали с периодом быстрого развития математики в Грузии. Деканом физико-математического факультета в это время был Николай Иванович Мискхелишвили. Из России возвратилась командированная с целью проведения научной работы первая группа грузинских специалистов (Илья Несторович Векуа, Виктор Дмитриевич Купрадзе, Давид Егорович Долидзе, Амбросий Калистратович Рухадзе и другие). Все это во многом способствовало заинтересованности студентов того времени математикой.

Николай Петрович Векуа с увлечением овладевал математической наукой. С большим интересом слушал курс лекций Николая Ивановича Мухелишвили по теории упругости, которой, выдающийся ученый, читал для студентов отделения механики. Цдав затем этот внеплановый курс, он привлек тем самым внимание Николая Ивановича. Так был установлен первый контакт между Николаем



Петровичем Векуа и Николаем Ивановичем Мухелишвили, талантливым учеником и его знатным руководителем.

6 ноября 1935 года Николай Петрович Векуа женился на Кетеван Григорьевне Чиковани.

В связи с реорганизацией университета, начав занятия с января 1933 года, поток студентов того времени завершил плановые занятия в июне 1937 года. Государственные экзамены были назначены на октябрь 1937 года. Николая Петровича, по его же просьбе, распределили учителем математики в Чхороцкский район. Такая необходимость была вызвана теми тяжелыми семейными условиями, в которых оказался в этом моменту Николай Петрович.

Руководство Чхороцкого района назначило Николая Петровича директором Ахутской средней школы. К работе этой должности он приступил 1 сентября 1937 года. Кетеван Григорьевна была назначена учителем химии и биологии в этой же школе.

В октябре 1937 года Николай Петрович приехал в Тбилиси для сдачи государственных экзаменов. председателем государственной комиссии был Николай Иванович Мухелишвили. «Хорошо помню – вспоминает Николай Петрович – государственной экзамен. Мне поручили доказать теорему о зависимости решения обыкновенного дифференциального уравнения от параметров (данных Коши), а также теорему (принцип) Римана-Шварца об аналитическом продолжении. Экзамен продолжался более часа, а затем мне объявили, что государственный экзамен я сдал на отлично, и что мною сдан приемный экзамен в аспирантуру».

Правда, зачисление Николая Петровича Векуа в аспирантуру разрешилось просто, но остались неразрешенными две проблемы: нужно было освободить его от обязанностей директора Ахутской школы и обеспечить жилищными условиями в Тбилиси. Решение обеих этих проблем взял на себя Николай Иванович Мухелишвили. Он обратился заведующему отделом образования Чхороцкого района письмом следующего содержания: «Н. Векуа сдал аспирантские экзамены в Грузинский филиал Академии наук СССР и зачислен в аспирантуру Математического института филиала. Президиум филиала ходатайствует о том, чтобы тов. Векуа был освобожден от обязанностей директора Ахутской средней школы. На тов. Векуа возлагаются большие надежды как на будущего ученого».

От обязанностей директора школы Николай Петрович был освобожден в феврале 1938 года. Ему, как аспиранту Математического института Грузинского филиала Академии наук СССР, была назначена высшая именная стипендия, а темой диссертационной работы утвердили <<Интегральные уравнения и их применение в математической физике>>.

Большое значение для Николая Петровича Векуа имело назначение ему этой стипендии. Он с увлечением принялся за изучение математики. Первые работы, предусмотренные диссертационной темой, были посвящены вопросам математической физики и интегральных уравнений, содержащих сингулярные интегралы, определенные в смысле Адамара.

В это время в Тбилиском математическом институте начинает работать известный семинар Николая Ивановича Мусхелишвили, посвященный сингулярным интегральным уравнениям. Одним из самых активных участников этого семинара был Николай Петрович Векуа. Именно по этой тематике он подготовливает свою кандидатскую диссертацию.

2 июня 1941 года Николай Петрович Векуа зачислен младшим научным сотрудником в Математический институт Академии наук Грузинской ССР, а 24 декабря 1941 года он защитил диссертацию на соискание ученой степени кандидата физико-математических наук на тему: <<О граничных задачах некоторых сингулярных интегральных уравнений и теории потенциалов>>.

Официальными оппонентами выступили: доктор физ. мат. наук, проф, Илья Несторович Векуа и кандидат физ. мат. наук, старший научный сотрудник Леван Георгиевич Магнарадзе.

Вскоре Николая Петровича Векуа утвердили в должности старшего научного сотрудника, а 22 апреля 1944 года ему присвоено ученое звание доцента.

6 июня 1946 года Николай Петрович представил в ученый совет Математического института Академии наук Грузинской ССР свою работу: <<Граничные задачи Гилберта, системы сингулярных интегральных уравнений и некоторые их применения>> - на соискание ученой степени доктора физико-математических наук.

Защита состоялась 3 июля 1946 года. Официальными оппонентами были: академик Н. И. Мухелишвили, членкорреспондент Академии наук Грузинской ССР И. Н. Векуа, доктор физ. мат. наук, профессор Д. Е. Долидзе.

24 января 1948 года Николай Петрович утвержден в ученном звании профессора по кафедре <<Теоретическая механика>>.

10 октября 1955 года Николая Петровича Векуа избирают Членом-корреспондентом Академии наук Грузинской ССР в отделение математических и естественных наук (математика), а в 1960 г. – действительным членом АН ГССР.

Монография Николая Петровича Векуа <<Системы сингулярных интегральных уравнений и некоторые граничные задачи>> издана в Москве на русском языке в 1950 году, а ее второе, значительно пополненное и переработанное издание осуществлено снова в Москве. Книга издана на русском языке Издательством <<Наука>> в 1970 году. она является настольной книгой не только для специалистов по граничным задачам теории функций и сингулярным интегральным уравнениям, но и для специалистов по механике и математической физике.

В 1966 году Николаю Петровичу присваивается почетное звание <<Заслуженный деятель науки Грузинской ССР>>.

В 1975 году Николаю Петровичу Векуа присуждается Государственная премия Грузинской ССР в области науки и техники за работу <<Сиситемы сингулярных интегральных уравнений и некоторые граничные задачи>>.

К приведенным сведениям необходимо добовить еще несколько биографических данным. В 1948-1952 годах Николай Петрович Векуа – первый декан механико-математического факультета Тбилисского государственного университета. До этого специальности <<математика>> и <<механика>> относились физико-математическому факультету. С 1957 года Николай Петрович руководить отделом уравнений математической физики Тбилисского математического университета. им. А. М. Размадзе АН ГССР, а ц 1976 года самим этим институтом. Сначала он был назначен исполняющим обазанности директора, а с 7 апреля 1977 года общее собрание академии наук Грузинской ССР утвердило его директором.

С 1963 года Николай Петрович – заведующий кафедрой <<Теоретическая механика>> Тбилисского государственного университета; до этого с 1938 года, он сначала был ассистентом этой дафедры, а затем донецтом и профессором.

Николай Петрович Векуа – член Коммунистической партии Советского Союза с 1939 года. Он награжден многими орденами и медалями: орденом <<Знак почета>> (1966), орденом <<Дружбы народов>> (1983), почетными грамотами Президиума Верховного цовета Грузинской ССР и медалью им. И. Джавахишвили Тбилисского государственного университета.

Научные труды Николая Петровича Векуа посвящены граничным задачам теории аналитических функций, дифференциальным и интегро-дифференциальным уравнением с малым параметром и их применениям в теории потенциалов и математической физике.

В работах, посвященных теории аналитических функций, Николай Петрович Векуа изучил задачу Гильберта для нескольких неизвестных функций.

Давид Гильберт, на основе развития идей Римана, поставил несколько граничных задач теории функции комплексной. Задачей Гильберта или граничной задачей линейного сопряжения впоследствии была названа задача теории функций комплексной переменной, в которой требуется найти функцию, определенную на всей комплексной плоскости, голоморфную всюду, кроме точек некоторой линии этой плоскости, в которых функция должна иметь граничные значения с обеих сторон, линейно, связанные друг с другом.

Кроме того, требуется, чтобы порядок искомой функции на бесконечности был конечным. Функция, голоморфная на всей комплексной плоскости, кроме точек некоторой линии этой плоскости, имеющая конечный порядок на бесконечности и граничные значения на линии с обеих сторон, называется кусочно-голоморфной. Таким образом задачей Гильберта требуется найти такую кусочно-голоморфную функцию, граничные значения которой на линии связаны друг с другом данной линейной комбинацией. Если это линейная комбинация однородно, т. е. не содержит свободного члена, то задача называется задачей Гильберта или однородной задачей линейного сопряжения. В противном случае она называется неоднородной. Совершенно аналогично ставится задача Гильберта для нескольких неизвестных функций. Здесь ищется такой кусочно-голоморфный вектор (вектор, компоненты которого есть кусочно-голоморфные функции), граничные значения компонентов которого на линии связаны друг с другом данной линейной комбинацией. Число заданных граничных условий совпадает с числом компонентов искомого вектора.

Указанные задачи рассмотрели Гильберт и Карлеман. Однако тогдашний уровень методологии исследования не дал возможности этим выдающимся ученым получить сколь-либо существенные результаты в этом направлении. Эти задачи, помимо теоретического интереса, имеют большое прикладное значение. К граничным задачам линейного сопряжения сводятся задачи гидро- и аэродинамики, теории крыла самолета, теории упругости, переноса энергии и радиации и многие другие. В связи с этим, начиная с Гильберта и Карлемана, интерес к этим задачам постепенно рос, однако их полное решение было осуществлено лишь учеными нашей страны. Особенно велик вклад внесенный в этом направлении грузинской математической школой, возглавляемой Николаем Ивановичем Мусхелишвили, и выдающимся представителем которой является Николай Петрович Векуа. Он до конца изучил граничную задачу Гильберта для нескольких неизвестных функций.

Задачу Гильберта для одной неизвестной функции изучал Ф. Гахов. Он нашел эффективное решение этой задачи, выразив его квадратурами. В случае нескольких неизвестных функций такая эффективная формула не существует. Это стало одной из основных причин тех больших трудностей, с которыми столкнулся Николай Петрович Векуа при изучении задачи Гильберта для нескольких неизвестных функций.

Из результатов, полученных Николаем Петровичем в этом направлении, необходимо отметить следующие: общую формулу, дающую все решения однородной задачи, имеющие заданный порядок на бесконечности; введение частных индексов и их различные применения; построение системы т. н. канонических решений, играющей решающую роль при исследовании задачи и др. Особо следует отметить исследование неоднородной задачи. Решение этой задачи Николай Петрович строит с помощью канонической системы, и составляет вполне эффективные условия существования решения с помощью свободных членов граничных условий.

Граничную задачу Гильберта для нескольких неизвестных функций раньше рассматривал Племель. В своих исследованиях Племель сводит задачу к интегральному уравнению Фредгольма, что значительно усложняет изучение. При этом его исследование не полно. Племель не вводит индекс задачи и исследует лишь однородную задачу, причем в очень ограниченных условиях.

Очень существенны исследования Николая Петровича Векуа, посвященные задачам Гильберта с разрывными коэффициентами для нескольких неизвестных

функций. Именно к таким задачам проводятся многие задачи математической физики. Таким образом эти исследования, помимо теоретического, приобретают также и прикладное значение. «Применная один из известных методов Племеля, проф. Н. Векуа довольно остроумными подстановками приводит граничную задачу Гильберта с разрывными коэффициентами в смысле Гильберта и строит систему канонических решений определенного класса.

Применением решения граничной задачи Гильберта с парными коэффициентами дана теория сингулярных интегральных уравнений с разрывными коэффициентами. Эта теория нашла значительное применение при решении граничных задач смешанного типа теории упругости» (Николай Иванович Мулхелишвили). Об этих результатах (они усложнены во второй главе монографии Николая Петровича Векуа) Николай Иванович Мулхелишвили писал: «Во второй главе автор (Н. Векуа) проявляет большую смекалку и изобретательность для преодоления, возникших при исследованиях трудностей. Успех достигнут умелым слиянием современных методов анализа и чистых алгебраических методов». Илья Несторович Векуа в своей рецензии на докторскую диссертацию Николая Петровича (1946 г.) писал: «При решении задачи Гильберта с парными коэффициентами существенным моментом является то, что здесь необходимо, помимо поведения решения в бесконечности, учитывать поведение в точках разрыва коэффициентов. В связи с этим становится необходимым разделение решений на классы. В работе точно установлено необходимое и достаточное условие существования решения неоднородной задачи, имеющего в бесконечности заданный порядок и принадлежащего к данному классу».

Как мы уже отмечали, задача Гильберта для нескольких неизвестных функций в общем случае эффективно не решается, поэтому вызывает интерес нахождение таких случаев, когда возможно достижение эффективности. Николай Петрович Векуа показал, что если коэффициенты граничных условий – рациональные функции, тогда с помощью известных теорем алгебры возможно эффективное решение канонической системы уравнений. Эта работа Николая Петровича нашла множество применений в дальнейшем развитии этого направления (Ф. Гахов и др.).

В исследованиях Николая Петровича Векуа значительное место занимают различные обобщения задачи Гильберта. Одним из существенных обобщений является задача Гильберта с заданным перемещением. В этом случае задача ставится так же, как

и задача Гильберта, но в линейных комбинациях, о которых речь шла в задаче Гильберта, участвуют граничные значения не в одних и тех же, точках, а в различных. Одна из них перемещена по заданному правилу. Это задача в случае одной неизвестной функции была изучена профессором Д. Квеселав, однако развитая здесь методика решения не распространяется на случай нескольких искомым функций, и стало необходимым найти новый метод решения. Николай Петрович Векуа удобной модификацией одного метода Племеля сумел окончательно изучить эту задачу. Эти исследования также нашли множество последователей и на их основе проведено много интересных исследований (Ф. Гахов, М. Ганин, И. Кигурадзе, Л. Чебников и др).

Николай Петрович Векуа исследовал еще более общую задачу линейного сопряжения, когда в граничном условии участвуют и значения, сопряженные с граничными значениями искомым функций. Эти общие задачи в качестве частных случаев содержат задачи Гильберта, Хаземана, Маркушевича и др.

В последующих обобщениях Николай Петрович ввел в граничные условия и граничные значения производных искомым функций. Также граничные задачи он назвал дифференциальными граничными задачами теории аналитических функций и связал их с сингулярными интегро-дифференциальными уравнениями.

Одной из особенностей исследований Николая Петровича Векуа является параллельное изучение граничных задач и сингулярных интегральных уравнений, а также выявление их взаимных связей. Задача Гильберта для нескольких искомым функций естественным образом связана с системами сингулярных интегральных уравнений. Эти связи играют существенную роль в исследованиях Николая Петровича. На основе исследования граничной задачи Гильберта с разрывными коэффициентами он исследует системы сингулярных интегральных уравнений с разрывными коэффициентами. Этот метод исследования дает ему возможность изучить системы сингулярных интегральных уравнений с разрывными коэффициентами без выделения их характеристических частей. Полученный результат не был известен до исследования Николая Петровича Векуа даже для одного уравнения.

Большое значение в теории сингулярных интегральных уравнений придается построению эквивалентных им регулярных уравнений или эквивалентной регуляризации. Интересные исследования в этом направлении выполнены Николаем

Петровичем Векуа для систем сингулярных интегральных уравнений. Им даны новые доказательства теорем.

Обобщение граничные задачи привели Николая Петровича к системам сингулярных интегро-дифференциальных и функциональных сингулярных интегральных уравнений, и к чести его нужно сказать, что он всюду внес свой собственный значительный вклад в исследования, иногда же – вклад первого исследователя.

Николаю Петровичу Векуа принадлежит цикл исследований, посвященный дифференциальным, интегро-дифференциальным и сингулярным интегро-дифференциальным уравнениям с малым параметром как в линейном, так и нелинейном случаях. Им установлены глубокие связи между теорией задач с малым параметром устойчивостью в смысле Лапунова решений динамических систем. Результаты, полученные в этом направлении, значительны не только с теоретической точки зрения, но и имеют большое прикладное значение, т. к. с их помощью часто можно сделать заключение о пригодности или непригодности некоторых упрощенных математических моделей.

Основные научные результаты Николая Петровича Векуа собраны в его монографии «Системы сингулярных уравнений и некоторые граничные задачи» и в статьях, опубликованных после второго издания этой книги (1979). Первое издание этой монографии переведено на английский язык и издано в 1967 году.

Много труда и энергии вложил Николай Петрович Векуа в дело воспитания молодежи. Он почти 50 лет (с 1938 года) непрерывно читает лекции в Тбилиском государственном университете. На протяжении ряда лет он читал теорию обыкновенных дифференциальных уравнений, механику сплошных сред, проводил различные спецкурсы и спецсеминары. Он – автор четырех учебников по теоретической механике, по которым проходят обучение на механико-математическом факультете Тбилисского государственного университета и в других высших учебных заведениях.

Велик вклад Николая Петровича Векуа как организатора высшего образования и науки. Он всегда занимал и занимает высокие должности в этих отраслях, используя их для дела развития учебы, просвещения и науки. Он был первым деканом механико-математического факультета и внес большой вклад в дело организации этого



